ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

ქიმიის საბაკალავრო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

10.09.2020

დასკვნის წარდგენის თარიღი

11.11.2020

თბილისი

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 211325653 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ქიმია |
| უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | ქიმიის ბაკალავრი |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | ქიმია, 0531 |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) | |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტებული |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ელინა ბაქრაძე (თავმჯდომარე) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო, |

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

| | |
|---|---|
| | საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ინგა ბოჭოიძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ანი ბილანიშვილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ქიმიის საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებულია ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის თანამშრომლების მიერ და აღსანიშნავია, რომ ქიმიის საბაკალავრო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 11 დეკემბრის N. 774 გადაწყვეტილებით და ხორციელდება 2013 წლიდან.

წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამა ოთხ წლიანია და მოიცავს 240 კრედიტს. აქედან, 50 კრედიტი ეთმობა საუნივერსიტეტო ზოგადი განათლებას; 33 კრედიტი - მიმართულების ზოგადი განათლებას; 42 კრედიტი - ქიმიის საბაზო განათლებას, 87 კრედიტი - ქიმიის ძირითად განათლებას, 8 კრედიტი- პრაქტიკულ განათლებას, 20 კრედიტი -არჩევით საგნებს. სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე.

პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს აქვს მაღალი საერთაშორისო სამეცნიერო რეპუტაცია.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მიზნად ისახავს მისცეს სტუდენტს თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ქიმიის ზოგადი საფუძვლების შესახებ, შეუქმნას წარმოდგენა ქიმიური კვლევების თანამედროვე მეთოდებსა და მათი გამოყენების შესაძლებლობებზე, გამოუმუშაოს ქიმიის დარგში პრაქტიკული მუშაობის უნარ-ჩვევები. სურვილის შემთხვევაში, ბაკალავრს შეეძლება სწავლა განაგრძოს შემდგომი დონის საგანმანათლებლო პროგრამაზე, განათლების კანონით გათვალისწინებული საჭირო პროცედურის გავლის შემდეგ.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტში ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 10 სექტემბერს (10:00-19:00) და დაგეგმილი განრიგის შესაბამისად წარიმართა. ჯგუფში შედიოდა სამი ექსპერტი: ელინა ბაქრაძე, ინგა ბოჭოიძე, ანი ბილანიშვილი. ვიზიტის ფარგლებში შედგა შეხვედრები უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, თვითშეფასების ჯგუფთან, საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულ აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან,

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, დამსაქმებლებთან, პროგრამის მოქმედ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
ვიზიტის ფარგლებში მოხდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა) დათვალიერება. ვიზიტმა ჩაიარა სამუშაო ატმოსფეროში, უნივერსიტეტის მხრიდან იყო ხელშეწყობა და მზაობა ვიზიტის სრულყოფილად განსახორციელებლად.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ქიმია შესაბამისობაშია აკრედიტაციის ხუთივე სტანდარტთან.

- **რეკომენდაციები**

  - ჯუნიორ პროექტის და სენიორ პროექტი II-ის სწავლის შედეგები გაიწეროს კონკრეტულად, თითოეული სასწავლო კურსის მიხედვით, მინიჭებული კრედიტების შესაბამისად;

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - დამსაქმებლების მეტი ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირებასა და განხორციელებაში, ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით;
  - გადაიხედოს და დაზუსტდეს ორი სასწავლო კურსის: ზოგადი ბიოქიმიის და თანამედროვე ბიოტექნოლოგიის საფუძვლების პრერეკვიზიტები.
  - სასურველია პროგრამის კურიკულუმის (სწავლის შედეგების) რუკაზე გაიწეროს რომელი სასწავლო კურსი რა დონით ავითარებს კონკრეტული სწავლის შედეგს (1 - გაცნობა; 2 - გაღრმავება; 3 - განმტკიცება);
  - სასურველია გაიწეროს სამიზნე ნიშნულები სწავლის შედეგებისათვის.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
  - პროგრამა სწავლების პირველ სემესტრში ითვალისწინებს საველე პრაქტიკის გავლას (3 კრედიტი), რაც ექსპერტთა ჯგუფის აზრით საუკეთესო პრაქტიკაა ძალიან მნიშვნელოვანი უნარების განსავითარებლად;
  - პროგრამაში სასწავლო კურსების თეორია და ლაბორატორია ცალ-ცალკე ისწავლება, რაც უზრუნველყოფს მეტ აქცენტებს პრაქტიკულ და ლაბორატორიული უნარების განვითარებაზე.
  - პროგრამას ემსახურება მაღალკვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი და სტუდენტებს კვლევითი პროექტების ფარგლებში აქვთ შესაძლებლობა ინდივიდუალურად იმუშაონ მაღალკვალიფიციურ აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალთან.
  - უნივერსიტეტის ლაბორატორიები უზრუნველყოფილია მაღალტექნოლოგიური ხელსაწყო - დანადგარებით, რომლებიც არის თანამედროვე და აკმაყოფილებს

საერთშორისო სტანდარტებს, უზრუნველყოფილია სტუდენტებისთვის აღნიშნულ ხელსაწყოებთან მუშაობის ხელმისაწვდომობა.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

საგანმანათლებლო პროგრამა „ქიმია“ წარმოადგენილია განმეორებით აკრედიტაციაზე. ამჟამად პროგრამა აკრედიტებულ რეჟიმში ხორციელდება (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N. 774, 11.12.2012). პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ გათვალისწინებულია რეკომენდაციები, რომელიც გაიცა წინა აკრედიტაციისას. მათ შორის, სასწავლო კურსების წინაპირობებთან და სწავლის შედეგებთან დაკავშირებით.

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამის მიზანი - მისცეს სტუდენტს თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ქიმიის ზოგადი საფუძვლების შესახებ, შეუქმნას წარმოდგენა ქიმიური კვლევების თანამედროვე მეთოდებსა და მათი გამოყენების შესაძლებლობებზე, გამოუმუშაოს ქიმიის დარგში პრაქტიკული მუშაობის უნარ-ჩვევები - ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე მიღწევადია. პროგრამის მიზნები ასახავს იმ ცოდნის და უნარების ზოგად ასპექტებს, რაც არის განსაზღვრული პროგრამის კურსდამთავრებულთათვის. ქიმიის დარგისათვის უმნიშვნელოვანესია პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება, რაც ასევე წარმოადგენს პროგრამის მიზანს.<br><br>საბაკალავრო პროგრამა „ქიმიის“ მიზანი შეესაბამება აგრარული უნივერსიტეტის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას. კერძოდ, სწავლა-სწავლების და კვლევების საუკეთესო გარემოს შექმნა და ხელმისაწვდომობა, სათანადო განათლების მისაღებად და იმ უნარების შესაძენად, რათა დააკმაყოფილონ პროფესიული მოთხოვნები; თავისუფალ და კრიტიკულ აზროვნებაზე დაფუძნებული ღირებულებებით შეძლებენ სხვადასხვა გარემოში ორიენტირებასა და ადაპტირებას, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებას და თანამედროვე გამოწვევების შემოქმედებით მიდგომებს. ასევე, უნივერსიტეტის მისიაა ორიენტაცია სტუდენტების ინტერესებსა და კვლევების წარმატებაზე. პროგრამაში გათვალისწინებულია უნივერსიტეტის ხედვა: სპეციალობის საგნების პარალელურად ზოგადი საგნების სწავლება, რათა უკეთ მოხდეს მათი ინტერესთა სფეროს ჩამოყალიბება, ასევე გათვალისწინებულია ხედვა არჩევით საგნებთან, ინგლისურის სწავლებასთან და პრაქტიკულ სწავლებასთან მიმართებაში.<br><br>პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და ითვალისწინებს საერთაშორისო ტენდენციებს. კერძოდ, სტუდენტებისათვის კვლევის თანამედროვე მეთოდების შესწავლა და მათი გამოყენება, ასევე პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება, რაც სრულად პასუხობს შრომის ბაზრის მოთხოვნებს. აღნიშნულს ადასტურებს კურსდამთავრებულთა დასაქმების 100%-იანი მაჩვენებელი და ბაკალავრიატის კურსდამთავრებულების სწავლის გაგრძელების მაღალი მაჩვენებელი ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში. |

პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ. პროგრამის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამა „ქიმიის“ მიზნები საჯარო და ხელმისაწვდომია.

- 

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა,
- თვითშეფასების ანგარიში,
- ა(ა)იპსაქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მისია, სტრატეგიული განვითარების გეგმა,
- ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტთან, კურსდამთავრებულებთან.

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

| |
|---|
| |

| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები |
|---|
| ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;<br>➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;<br>➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამის სწავლის შედეგები განსაზღვრავს იმ ცოდნას, უნარებს და პასუხისმგებლობას, რომელიც დასახულია პროგრამის მიზნებში.<br><br>საბაკალავრო პროგრამა „ქიმია“ სწავლის შედეგები ასახავს თეორიული ცოდნის იმ ძირითად ასპექტებს, რაც მნიშვნელოვანია კურსდამთავრებულთათვის. მათ შორის, საბუნებისმეტყველო და ზუსტი მეცნიერებების საფუძვლების, ქიმიის ძირითადი კანონზომიერებების, ქიმიის ძირითადი მიმართულებების საფუძვლების შესახებ ცოდნას.<br><br>პროგრამა მოიცავს იმ პრაქტიკული უნარების მნიშვნელოვან საკითხებს, რომელიც აუცილებელია ქიმიის ბაკალავრისათვის. კერძოდ, ლაბორატორიაში მუშაობის, ქიმიურ ექსპერიმენტებში მონაწილეობის, მიღებული შედეგების ანალიზის და არგუმენტირებული დასკვნის გამოტანის უნარი, შეუძლია ნივთიერებების აღნაგობასა და თვისებებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა და პროფესიულ დისკუსიაში მონაწილეობა.<br><br>პროგრამის სწავლის შედეგები გაზომვადია და შინაარსიდან გამომდინარე, მიღწევადია. საბაკალავრო პროგრამა „ქიმია“ სწავლის შედეგები შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამის მე-6 დონის აღმწერს. პროგრამა განსაზღვრული მიზნის შესაბამისად, იძლევა განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი, გათვალისწინებულია კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა მოსაზრებები. დამსაქმებლები, რომლებთანაც ექსპერტთა ჯგუფს მიეცა გასაუბრების შესაძლებლობა არ იცნობდნენ პროგრამას და შესაბამისად სწავლის შედეგებს, თუმცა პროგრამის ხელმძღვანელი და განმახორციელებელი პერსონალი კარგად იცნობს დამსაქმებლების მოთხოვნებს, რაც დასტურდება კურსდამთავრებულთა დასაქმებით და ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევით.<br><br>სასურველია დამსაქმებლების და კურსდამთავრებულების მეტი ჩართულობა პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირებისას.<br><br>პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება ორი მეთოდით: პირდაპირი და არაპირდაპირი გაზომვის მეთოდებით. არაპირდაპირი გაზომვის მეთოდი ემყარება უკუკავშირის მიღებას სხვადასხვა ფორმით. მაგალითად, სტუდენტების, |

| |
|---|
| კურსდამთავრებულების გამოკითხვას. პირდაპირი შეფასების მეთოდი მოიცავს ცოდნის შემოწმების სხვადასხვა მეთოდებს, რომლებიც თანმიმდევრული და გამჭვირვალეა. სწავლის შედეგების შეფასება ხდება PDCA სისტემის მიხედვით და აქვს უწყვეტი ხასიათი. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მოდელი, რომელიც მოიცავს: პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა - სასწავლო კურსების აქტივობები - სწავლების მეთოდები და ტექნოლოგიები - შეფასება და ცოდნის შეფასების ფორმები, რომლებიც წრიულად არიან დაკავშირებული სწავლის შედეგების მოდელში.<br><br>პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკის მიხედვით შემუშავდა სამიზნე ნიშნულები, თუმცა სწავლის შედეგების შეფასებისთვის მნიშვნელოვანია პროგრამის სწავლის შედეგების რუკა. თვითშეფასების ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია პროგრამის სამიზნე ნიშნულებთან დაკავშირებით, მათ შორის: პროგრამაზე ჩარიცხვის და დასრულების მაჩვენებლები, ნიშნების განაწილების და საშუალო GPA-სთან დაკავშირებით. სასურველია გაიწეროს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის. პროგრამის კურიკულუმის (სწავლის შედეგების) რუკაზე სასურველია გაიწეროს რომელი სასწავლო კურსი რა დონით ავითარებს კონკრეტული სწავლის შედეგს (1 - გაცნობა; 2 - გაღრმავება; 3 - განმტკიცება).<br><br>პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი იცნობს და ჩართულია სწავლის შედეგების შეფასებაში. სწავლის შედეგების როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი შეფასებების ანალიზის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე, პროგრამის განვითარებაზე მუშაობს გუნდი პროგრამის ხელმძღვანელის, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის, ასევე შესაბამისი ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის მონაწილეობით.<br><br>სტუდენტებისათვის სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ ინფორმაციის მიწოდების მექანიზმი უზრუნველყოფილია და სტუდენტები იღებენ შესაბამის უკუკავშირს.<br><br>მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე ხდება სასწავლო პროცესის დაგეგმვა, სილაბუსების განახლება. აკადემიური და მოწვეული პერსონალი განიხილავს სწავლების მეთოდებს, კურსის შინაარს და შეფასების სისტემა. შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში ხდება სწავლის შედეგების მოდიფიცირება. წარმოდგენილია დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) მოსაზრებების ანალიზი პროგრამის შედგენასა და განვითარებაში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამა;<br>○ პროგრამის სწავლის შედეგები;<br>○ პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკა;<br>○ საბაკალავრო პროგრამა „ქიმიის“ კურიკულუმის (სწავლის შედეგების) რუკა;<br>○ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები;<br>○ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ქიმიის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში ჩატარებული შრომის ბაზრის ანალიზი;<br>○ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი;<br>○ გამოკითხვის შედეგები; ინტერვიუს შედეგები. |

○

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

დამსაქმებლების მეტი ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირებასა და განხორციელებაში, ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით;

სასურველია პროგრამის კურიკულუმის (სწავლის შედეგების) რუკაზე გაიწეროს რომელი სასწავლო კურსი რა დონით ავითარებს კონკრეტული სწავლის შედეგს (1 - გაცნობა; 2 - გაღრმავება; 3 - განმტკიცება);

სასურველია გაიწეროს სამიზნე ნიშნულები სწავლის შედეგებისთვის.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

○

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | x | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა სტანდარტულია და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, საჯარო და ხელმისაწვდომია.

საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელმაც ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების შესაბამისად, მოიპოვა უფლება ისწავლოს საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ასევე ითვალისწინებს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა პირობებსაც.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

**რეკომენდაციები:**

| |
|---|
| წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი |
|---|
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია უნივერსიტეტში მოქმედი მეთოდოლოგიის შესაბამისად, დაფუძნებულია აგრარული უნივერსიტეტის ბაკალავრიატის და ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამის დებულებაზე და ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების ჩართულობას. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამა ასევე ითვალისწინებს შესაბამისი დარგის თანამედროვე მიღწევებს.<br><br>პროგრამა აგებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს. მათ შორის საუნივერსიტეტო ზოგადი განათლების სასწავლო კურსები - 50 |

| |
|---|
| კრედიტი, მიმართულების ზოგადი განათლება - 33 კრედიტი, ქიმიის საბაზო განათლება - 42 კრედიტი, ქიმიის ძირითადი განათლება - 87 კრედიტი, პრაქტიკული განათლება - 8 კრედიტი, არჩევითი საგნები - 20 კრედიტი. მიუხედავად იმისა, რომ ქიმიის ზოგადი განათლების და ძირითადი განათლების კურსებად დაყოფა პირობითია, კარგი იქნება თუ გასწორდება ტექნიკური უზუსტობა საბაზო განათლების კურსთა ჩამონათვალში ორგანული ქიმიის კურსების და ძირითადი განათლების კურსებში არაორგანული ქიმიის სასწავლო კურსების განსაზღვრის საკითხები.<br><br>პროგრამა ითვალისწინებს, როგორც ძირითადი სპეციალობის სავალდებულო ასევე არჩევით სასწავლო კურსებს, პროგრამის თავისუფალი კომპონენტები არის როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი. პროგრამის კომპონენტები არის ლოგიკურად დალაგებული და თანმიმდევრული, შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ადექვატურია. პროგრამა ითვალისწინებს დაშვების წინაპირობების გარკვეულ არჩევითობას. მაგალითად, ორგანული ქიმია 1-ის წინაპირობაა ზოგადი ქიმიის თეორიული ან ლაბორატორიული კურსი, რაც პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით ახსნა. ამ საკითხთან მიმართებაში, ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის არგუმენტები, თუმცა ორ სასწავლო კურსთან მიმართებაში სასურველია გადაიხედოს შესაბამისი პრერეკვიზიტები. კერძოდ, სასწავლო კურსს „ზოგად ბიოქიმიას" პრერეკვიზიტად განსაზღვრული აქვს ზოგადი ბიოლოგია ან ორგანული ქიმია. ამ შემთხვევაში დასაკონკრეტებელია რომელი ორგანული ქიმიაა წინაპირობა და ვინაიდან ამ ორ სასწავლო კურსს აქვს განსხვავებული სწავლის შედეგები და შინაარსი, ორივე სასწავლო კურსი შეიძლება განისაზღვროს ზოგადი ბიოქიმიის სასწავლო კურსის შესასწავლად. ასევე, სასწავლო კურსს „თანამედროვე ბიოტექნოლოგიის საფუძვლებს" წინაპირობად განსაზღვრული აქვს ზოგადი ბიოქიმია ან ზოგადი მიკრობიოლოგია.<br><br>ინფორმაცია საბაკალავრო პროგრამა „ქიმიის" შესახებ საჯაროა და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ საგანმანათლებლო პროგრამა;<br>○ სილაბუსები;<br>○ კურუკულუმი;<br>○ აგრარული უნივერსიტეტის ბაკალავრიატის და ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამის დებულება;<br>○ პრერეკვიზიტების რუკა;<br>○ სემესტრული გეგმა;<br>○ კურიკულუმის (სწავლის შედეგების) რუკა;<br>○ ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>გადაიხედოს და დაზუსტდეს ორი სასწავლო კურსის: ზოგადი ბიოქიმიის და |

| |
|---|
| თანამედროვე ბიოტექნოლოგიის საფუძვლების პრერეკვიზიტები. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| **2.3. სასწავლო კურსი** |
|---|
| ➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;<br>➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან და სასწავლო კურსების შინაარსთან. სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ფორმირებისას გათვალისწინებულია განათლების შესაბამისი საფეხური. პროგრამის კომპონენტებისთვის განსაზღვრული კრედიტები ადექვატურია და უზრუნველყოფს შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსებისთვის გამოყოფილი საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა და თანაფარდობა ითვალისწინებს შესაბამისი კურსების სპეციფიკას. სასწავლო კურსის სილაბუსში გათვალისწინებული თითოეული სწავლის შედეგის შეფასების მექანიზმი უზრუნველყოფილია. |

სტუდენტებისათვის კვლევითი უნარების განვითარებისთვის პროგრამა ითვალისწინებს ჯუნიორ პროექტს, სინიორ პროექტ I-ს და სინიორ პროექტ II-ს. აღსანიშნავია, რომ ჯუნიორ პროექტის და სენიორ პროექტი II-ის სწავლის შედეგები ძირითადად იდენტურია. პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით სტუდენტები სხვადასხვა დონით გადიან აღნიშნულ სწავლის შედეგებზე, თუმცა ამ შემთხვევაში აუცილებელია გაიწეროს კონკრეტულად რომელ სწავლის შედეგზე რა დონით გავა სტუდენტი შესაბამისი კომპონენტების გავლის შემდეგ.

სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა შეესაბამება შესაბამისი კურსების სწავლის შედეგებს. მაქსიმალურად არის უზრუნველყოფილი ახალი ლიტარატურის და სხვა სასწავლო მასალის მითითება, რომლებიც განაპირობებენ პროგრამის დარგის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- კომპეტენციების რუკა;
- სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

ჯუნიორ პროექტის და სენიორ პროექტი II-ის სწავლის შედეგები გაიწეროს კონკრეტულად, თითოეული სასწავლო კურსის მიხედვით, მინიჭებული კრედიტების შესაბამისად.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის პრაქტიკული, სამეცნიერო-კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას, მათ ჩართულობას კვლევით პროექტებში.

ექსპერტთა ჯგუფი გამოყოფს იმ ძირითად საკითხებს პროგრამის ფარგლებში, რაც უზრუნველყოფს შესაბამისი უნარების განვითარებას:

- პროგრამა უზრუნველყოფილია პრაქტიკული და სამეცნიერო-კვლევითი უნარების განმავითარებელი შესაბამისი მატერიალური და ადამიანური რესურსებით, რომლებიც ჩართული არიან და ახორციელებენ დარგის შესაბამის საერთაშორისო დონის კვლევებს;
- პროგრამა ორიენტირებულია ქმედებაზე ორიენტირებულ სწავლებაზე (learning-by-doing), უნივერსიტეტს გააჩნია შესაბამისი პირობები: ინდივიდუალური სამუშაო სივრცე, საჭირო ხელსაწყოები და რეაქტივები, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მაქსიმალურად მიღწევას;
- პროგრამაში სასწავლო კურსების თეორია და ლაბორატორია ცალ-ცალკე ისწავლება, რაც უზრუნველყოფს მეტ აქცენტებს პრაქტიკულ და ლაბორატორიული უნარების განვითარებაზე;
- პროგრამა სწავლების პირველ სემესტრში ითვალისწინებს საველე პრაქტიკის გავლას (3 კრედიტი), რაც ექსპერტთა ჯგუფის აზრით საუკეთესო პრაქტიკაა ძალიან მნიშვნელოვანი უნარების განსავითარებლად;
- პროგრამაში გათვალისწინებული ჯუნიორ პროექტო, სინიორ პროექტ I და სინიორ პროექტ II უვითარებს სტუდენტებს კვლევით უნარებს;
- პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული განათლება იტვალისწინებს - მუშაობა ორგანიზაციაში (5 კრედიტი), რაც უმნიშვნელოვანესია სტუდენტებისთვის შესაბამისი პრაქტიკული უნარების შესაძენად. აღნიშნული კომპონენტის განსახორციელებლად გაფორმებულია შესაბამისი მემორანდუმები და ხელშეკრულებები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- მატერიალურ ტექნიკური ბაზა;
- აკადემიური პერსონალის CV;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმები;
- ინტერვიუს შედეგები.

| |
|---|
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პროგრამა სწავლების პირველ სემესტრში ითვალისწინებს საველე პრაქტიკის გავლას (3 კრედიტი), რაც ექსპერტთა ჯგუფის აზრით საუკეთესო პრაქტიკაა ძალიან მნიშვნელოვანი უნარების განსავითარებლად;<br>○ პროგრამაში სასწავლო კურსების თეორია და ლაბორატორია ცალ-ცალკე ისწავლება, რაც უზრუნველყოფს მეტ აქცენტებს პრაქტიკულ და ლაბორატორიული უნარების განვითარებაზე. |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები** |
| პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამით გათვალისწინებული სწავლა-სწავლების მეთოდები განსაზღვრულია სასწავლო კურსის სწავლის შედეგების და შინაარსის გათვალისწინებით. ქიმიის საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს შემდეგ სწავლების ფორმებს, მეთოდებს და შესაბამის აქტივობებს: |

- სწავლების ვერბალური მეთოდი
- ლიტერატურაზე და პუბლიკაციებზე მუშაობის მეთოდი
- წერითი მუშაობის მეთოდი
- ჯგუფური მუშაობა
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი
- დემონსტრირების მეთოდი
- ინდუქციური მეთოდი
- დედუქციური მეთოდი
- ანალიზის მეთოდი
- სინთეზის მეთოდი
- ლაბორატორიული მეთოდი
- პრაქტიკული მეთოდები
- ახსნა-განმარტებითი მეთოდი
- ინტერაქციული მეთოდი
- შედარებითი მეთოდი
- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება
- თანამშრომლობითი სწავლება
- დისკუსია/დებატები
- გონებრივი იერიში

ამავე დროს ლექტორორს უფლება აქვს გამოიყენოს სწავლების ის მეთოდი, რომელიც პროგრამაში არ არის მითითებული და ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

სასწავლო კურსებში მოცემული სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება უმაღლესი განათლების პირველ საფეხურს და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სწავლება-სწავლის მეთოდები;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- ინტერვიუს შედეგები;
- გამოკითხვის შედეგები.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის**

შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სასწავლო კურსებში გაწერილი შეფასების სისტემა შეესაბამება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მე-3 ბრძანებას. შეფასების სისტემა მრავალკომპონენტიანია, შედგება შუალედური და დასკვნითი შეფასების ფორმებისგან. შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის დადგენილია კომპეტენციის მინიმალური ზღვარი. შეფასების მეთოდი და ფორმა გამომდინარეობს სასწავლო კურსების სწავლის შედეგებიდან, რომელიც გამჭვირვალე და სამართლიანია.

სასწავლო კურსების შეფასების სისტემა მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:
- დისკუსიაში მონაწილეობის შეფასება
- აქტიურობის შეფასება
- შუალედური გამოცდები
- საშინაო დავალებები
- ქვიზები
- პრაქტიკული სამუშაოები
- ლაბორატორიული სამუშაოები
- პროექტები
- ანგარიშები
- წერითი ნაშრომები
- ესეები
- ზეპირი გამოკითხვა

პრეზენტაციები

- ღია/დახურული ტესტები
- დასკვნითი გამოცდები

შეფასების სისტემაში თითოეული კომპონენტისთვის გაწერილია რუბრიკები და მოცემულია ქულების გრადაცია შესაბამისი რუბრიკების მიხედვით. სილაბუსები განთავსებულია სასწავლო პროცესის მართვის ინფორმაციულ სისტემაში. შესაბამისად, სტუდენტს აქვს სრული ინფორმაცია თითოეული სასწავლო კურსის შეფასების მეთოდების შესახებ.

საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში შუალედური და დასკვნითი გამოცდები ტარდება დახურული ან/და ღია წიგნის პრინციპით. ღია წიგნის პრინციპი ითვალისწინებს ლექტორის მიერ კითხვების იმ ფორმით დასმას, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტის ანალიტიკური, კრეატიული აზროვნების შემოწმებას და არ ითვალისწინებს მხოლოდ მასალის დამახსოვრებას და გაგებას. დახურული წიგნის პრინციპით ცოდნის შემოწმება ძირითადად ტესტური ფორმისაა. გამოცდების უმეტესობა ტარდება საგამოცდო ცენტრში, სადაც არსებული პირობები მინიმუმადე ამცირებს აკადემიური არაკეთილსინდისიერების რისკებს.

უზრუნველყოფილია სტუდენტებისათვის უკუკავშირის მიწოდების მექანიზმი, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს გააუმჯობესონს საკუთარი სწავლის შედეგები. სტუდენტებს აქვთ საშუალება საკუთარი შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობა. თუმცა სტუდენტებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ მათ ამ მექანიზმით არ უსარგებლიათ, ვინაიდან მათთვის ყოველთვის გასაგებია მიღებული შეფასება და გასაჩივრების აუცილებლობა არ ქონიათ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- აგრარული უნივერსიტეტის ბაკალავრიატის და ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამის დებულება;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| ○ |
|---|
